

საგზიელო

საორტული გაზეთი

სამზაბათი 7 ოქტომბერი 2003 №189 (1960)

ფასი 50 თეთრი

ველოდით ოქროს? რასაპვირკველია!



ინტერვიუ მსოფლიოს ჩემპიონ მანუჩარ კვიციანიასთან იხილეთ მეთექვსმეტი გვერდზე

RUGBY WORLD CUP 2003 ავსტრალია 10 ოქტომბერი - 22 ნოემბერი

მეხუთე დღეა, საქართველოს ნაკრები პერთშია, სადაც მსოფლიოს თასის ჯგუფური ეტაპის სამი მატჩი ელის — პირველი 12 ოქტომბერს უპირველეს ფავორიტ ინგლისის ნაკრებთან. პერთის ღირსშესანიშნაობების მონახულებისა და აკვაპარკში ზვიგენებთან ცურვის მერე, გუშინდლიდან ბორჯღალოსნებმა საქმეს სერიოზულად მიხედეს — სრული დატვირთვით ვარჯიში დაიწყეს. გუშინვე ნაკრების მენეჯერ ბიბი ჭუმბურიძეს დავუკავშირდით

სტრელის გუნდი უგუნდოდ დარჩა ბორჯღალოსნები ავსტრალიაში იყინებთან

— დღეიდან სრული დატვირთვით ვარჯიში უნდა დაგეწყოთ...

— ჩამოსვლის მერე ერთი-ორი დღე ბიჭებს დასვენების საშუალება მივეცით, დღეიდან კი სრული დატვირთვით, დღეში ორჯერ, ორ-ორ საათი ვარჯიშობენ. ახლა დაცვაში თამაშის დახვეწაზე ვმუშაობთ. ყოველი ვარჯიშის შემდეგ ბიჭები ყინულის აბაზანებს იღებენ. აღდგენის ახალი მეთოდი და რაგბიში წლეულს ამერიკული ფეხბურთიდან შემოვიდა. ასეთი პროცედურები პატარ-პატარა ტრავმებისა და სისხლჩაქცევების მოსაშუშებლად ყოფილა კარგი.

— ირაკლი გუნდიშვილის საქმე როგორაა?

— სამწუხაროდ, ირაკლის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა და ხედავ ან ზევ თბილისში დაბრუნდება. მის ნაცვლად საფრანგეთის ფედერალ-2-ის „კომპიენის“ მორკინალი სერგო გუჯარაიძე დაგვემატება.

— ლევან ცაბაძესთან დაკავშირებით რა სიახლეა?

— „ლეონსიოს“ ავსტრალიის ვიზა აქვს. ჯერჯერობით სულ ეს არის, თუ ბოლომდე გამოკეთდება, ნაკრებს აუცილებლად დაემატება.



ირაკლი გუნდიშვილი

ქართველების სარუსეთო აქეთურ-იქითური ქორღანიათ და გაგაღანიათ ნახრები გაინაწილან



ფოტო: დ. მანუჩარიანი

საქართველო მოსკოვში გაერთიანდება

ქორღანია და გაბელია ნახრები გაინაწილეს

ხუთშაბათი დილით საქართველოს ნაკრები მოსკოვს გაემგზავრება და ევროშესარჩევი ციკლის ბოლო, რუსეთთან მატჩისთვის მზადებას იქ, მოსკოვის მახლობლად განაგრძობს. შეკრებით კი ეროვნული გუნდი ხვალ შეიკრიბება, თუმცა პირველ ვარჯიშს ორად გაყო-

ფილი ჩაატარებს. ოთხშაბათს გუნდის ერთი ნაწილი „ეროვნულ“ სტადიონზე იქნება, მეორე — მოსკოვში, გოლფკლუბის მოედანზე. სწორედ ქალაქარეთ მდებარე გოლფკლუბის სასტუმრო „მერიდიანში“ დაბინავდებიან ჩვენები

ნაპრების მწვრთნელმა მერაბ ჟორღანიამ რუსეთთან მატჩისთვის 19 ფეხბურთელი გამოიძახა, სათამაშოდ კი 18-ს შეარჩევს. მოწვეულთაგან ერთი თბილისში დარჩება.

სარუსეთო შემადგენლობაში ახალი არაინაა. რიგის „სკონტოს“ ნახევარმცველ ლევან კორღალიძეს თუ არ ჩავთვლით, აქამდე ნაკრების მისურა ყველას მოურავია. კორღალიძეც იყო ეროვნულ გუნდში ერთი თვის წინ გამოძახებული, მაგრამ მას აღბანულებთან არ უთამაშია.

ჟორღანიას სიაში არ არიან ტრავმირებული კახა კალაძე, უთამაშებელ-უგუნდო გიორგი ქინქლაძე და დისკვალიფიცირებულნი — ყვითელი ბარათების გამო ალექსანდრე რეხვიასვილი და უეფასგან ჩხუბისთვის ოთხი მატჩით დასჯილი გოგა ვახოკიძე. სიაში არც თურქული „ქოჯალის“ მცველი გივი დიდავაა.

შესაძლოა, რუსეთთან მატჩი გამოტოვოს შოთა არველაძემაც. ის მოსკოვში კი იქნება, მაგრამ ითამაშებს თუ არა, შოთას ექიმის სიტყვაზე დამოკიდებული. საქმე ისაა,

რომ არველაძეს მარცხენა მუხლის მყესები აწუხებს. შოთამ მოსკოვამდე ექიმს გერმანიაში უნდა შეუაროს და მოსკოვშიც მის პასუხს ჩაიტანს.

მთლიანი შემადგენლობა კი ასეთია:

მეკარები: გიორგი ლომია (*„სპარტაკი“*, მოსკოვი), დავით გვარამაძე (*„დინამო“*);

მცველები: ოთარ ხიზანიძე-ვილი, გიორგი შამიაშვილი (*ორივე „დინამო“*), რევაზ ქემოკლიძე (*„ლოკომოტივი“*), ზურაბ ხიზანიძე-ვილი (*„რეინჯერსი“*, გლაზგო);


ნახევარმცველები: ლადო ბურდული, დავით კვიციანი, ვიტალი დარასელია (*სამედე „დინამო“*), ლევან კობიაშვილი (*„შალკე“*, გელზენკირხენი), ლევან ცხიტიშვილი (*„ფრაიბურგი“*), ლევან კორჯაღალიძე (*„სკონტო“*, რიგა), გოჩა ჯამარაული (*„მეტალურგი“*, დონეცკი), გიორგი ნუსაძე (*„ადანი“*), მალხაზ ასათიანი (*„ლოკომოტივი“*, მოსკოვი);

თამბაქმელები: მიხეილ აშვეთია (*„ლოკომოტივი“*, მოსკოვი),

შოთა არველაძე (*„რეინჯერსი“*, გლაზგო), ალექსანდრე იაშვილი (*„ფრაიბურგი“*), გიორგი დემეტრაძე (*„მეტალურგი“*, დონეცკი).

ჩამოთვლილთაგან არველაძე, კობიაშვილი, იაშვილი, ცხიტიშვილი და კორღალიძე რუსეთის ლიგაში მოთამაშე ნაკრების წევრებთან ერთად დანარჩენებს მოსკოვში დახვდებიან და ოთარ გაბელიას ხელმძღვანელობით, რომელიც თბილისიდან ხვალ მიემგზავრება, გოლფკლუბში ივარჯიშებენ. პარალელურად „ეროვნულზე“ მერაბ ჟორღანია ავარჯიშებს ფეხბურთელებს. სიახლე: ჟორღანიას ნაკრების გაწვრთნაში დაეხმარება თემურ ჩხაიძე, რომელიც ქართულ საფეხბურთო წრეში ნაცნობი კაცია. ბოლოს ის თბილისის „ლოკომოტივში“ და „მცხეთაში“ მუშაობდა.

ნაკრების მწვრთნელთა შტაბში აღარ იქნება კვიციანის „ნართოსის“ ფეხბურთელი თემურ ქეცბაია, ჟორღანიას თანაშემწე მიხეილ ყაველაშვილი კი ფიზმომზადების მწვრთნელ ალექსის პაპარდესტი-



შოთა არველაძის თამაში ექიმის სიტყვაზე ჰყიდა

რისთან ერთად გუნდს მოსკოვში ხუთშაბათს შეუერთდება.

დღეისთვის უკვე თბილისში არიან ნემსაძე, ხიზანიძე-ვილი, ჯამარაული და დემეტრაძე. ასე რომ, ჩამოსასვლელი აღარაინი დარჩა. ხვალინდელი ვარჯიში „ეროვნულზე“ შეიღის ნახევარზე დაიწყება.

მოსკოვში ჩვენები სამჯერ ივარჯიშებენ. ხუთშაბათს ქალაქის ერთ-ერთ სტადიონზე, პარასკევს „ლოკომოტივზე“, სადაც ჩატარდება კიდევ მატჩი და შაბათს დილით თამაში ჩვენი დროით ცხრის ნახევარზე დაიწყება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რუს კოლეგებს იმ 125 ბილეთის გარდა, რომელიც სტუმარ გუნდს უფასოდ უბრუნდება, კიდევ 200 ბილეთის დაჯავშნა სთხოვა. მოსკოველ ქართველებს ბილეთების შეძენა სტადიონის სალაროებში შეუძლია. სხვათა შორის, ჩვენი რუსი

კოლეგები საქართველოში მათ საელჩოს გუნდს დაუკავშირდნენ და მოსკოვში წამსვლელთა ამბავი გამოჰკითხეს. დიდა აუიოტაყიო, უკითხავთ რუსეთიდან, განსაკუთრებული არაფერი — უპასუხეს საელჩოს პრესსამსახურიდან. ჩვენ კი ფეხბურთის ფედერაციაში გვიტოვრეს, რომ მოსკოვს ეროვნულ-ახალგაზრდულ გუნდებთან მატჩზე დასასწრებად 80-მდე კაცი მიემგზავრება.

და ერთიც: საქართველოსთან თამაშზე მოსკოვის „ლოკომოტივის“ 30-ათასიან სტადიონზე ანშლაგი იქნება, ირწმუნებიან რუსეთის საფეხბურთო კავშირში. იმასაც კი ამბობენ, რომ ბილეთების მეტი წილი უკვე გადამყიდველთა ხელშია და ცეცხლის ფასი აქვს.

აი, ასეთი ამბებით იწყება სანაკრებო კვირეული...


კობა ინსაარიძე

საქართველოს 15 ნაკრები 8 ტური

ნიჭიერი თაობა

თბილისი. 6 ოქტომბერი. 16 საათი. მრეწველი. 250 მაყურებელი

10 დავითნიძე (31), 2:0 ასლანაძე (72 პენ), 3:0 ნინამძღვრიშვილი (90)
ბმბრი: ასლანაძე, ვედელიაშვილი, ჩიხრაძე, დავითნიძე, დ. მჭედლიშვილი (ბურთანიძე 60), ნიკოლაიშვილი, კუსრაშვილი (ვერემუცი 60), გარუბაძე, განუგრაძე, ნინამძღვრიშვილი, რუსია (კლბაქიძე 69) მწვრთნელი: გაიოზ დარსაძე
მწვრთნელი: ნიკოლაიშვილი (7), ოსაგა (37), ჩიხრაძე (65)
მსაჯენი: ა. შალამბერიძე, ს. გაბელია, ლ. კვიციანი, ა. შალაგაძე



დავით ასლანაძე

გაბუნა კაძია

„მილანთან“ შეხვედრა „ამერიისთვის“ რვა დღეში მესამე მატჩი გახლდათ და ამას გუნდზე დალი რომ არ დაესვა, უცნაურიც იქნებოდა — 30-ე წუთამდე ღუნე, უმომენტო თამაშს სწორედ ამით ვხსნივთ. მეტოქეები ერთმანეთს „ზომავდნენ და წონიდნენ“, მეტი კი ვერაფერი. კიდევ, მასპინძლებს არ ჰყავდათ დამაჯებელი: მირზა ბეგლავა, გიორგი ლუღუშაური და ბექა გოცირიძე.

თუმცა, 30-ე წუთზე შექმნილმა ერთმა მომენტმა თამაშს „ამერიისთვის“ სასურველი გასაღები მოუძებნა — გეგი ვარუჯაყა თამამად და მოხდენილად შეიჭრა სტუმრების საჯარიმოში, სადაც ბოლოწამს კარში დარტყმას გასწვრივი პასი ამჯობინა. ერთი სიტყვით, გოლი არ გასულა, მაგრამ თბილისელთა ცენტრალურმა ნახევარმცველმა მატჩის დინება ააფორიაქა — ამ მომენტს ზედ კიდევ ორი მიე-

წყო და ორივეჯერ ცენტრალურმა მცველმა გიორგი დავითნიძემ გამოიჩინა თავი. მისი პირველი შეტევა წნორელებმა კუთხურზე მოიგერიეს, კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს კი კარში მიუჩინა ადგილი.

ამის შემდეგი მომენტიც თბილისელებმა შექმნეს. კერძოდ, 39-ე წუთზე გარუჯაყამ მარჯვნივ ამირან კედელაშვილს გაუჭრა, მან რატი წინამძღვრიშვილი შეაძინა საგოლე პოზიციაში, მაგრამ წინამძღვრიშვილმა კარგად ვერ დაარტყა — პირველი ტაიმი ეს იყო და ეს.

შესვენების შემდეგაც ვერც ის მოხდა, რაც შესვენებამდე — წინამძღვრიშვილს არ გაუმართლა, რასაც ოთხ წუთში უკვე წნორელი ზაზა მდელიეის კარგი დარტყმული და „ამერიის“ ტელის ზანზარი მოჰყვა. აქ მოვლენები 13 წუთით მიყუჩდა და... გიორგი განუგრაძას პასით მეკარესთან პირისპირ შესულ დიმიტრი ვერემუცი სტუმართა მცველმა მისურზე დაქაჩა, რისთვისაც მსაჯმა პენალტი დანიშნა. პენალტის დარტყმა მასპინძელთაგან მეკარე დავით ასლანაძემ წარმატებით ითავა.

მატჩის დასასრულამდე კიდევ ორი რამ იყო ღირსშესანიშნავი. 87-ე წუთზე გიორგი ნიკოლაიშვილის დიდებული პასი მარცხენა ფრთიდან მარჯვნივ, წინამძღვრიშვილისკენ, რომელმაც განუგრაძას ბურთი მეკარის პირდაპირ გადასცა, მაგრამ „ამერიის“ ნაჯაფარმა და დალოლმა ნახევარმცველმა ფხიზელ მეკარე მამუკა ნაყოფას ვერ აჯობა და 90-ე წუთზე გასული გოლი: ვერემუციის დარტყმული ნაყოფამ მოიგერია, თუმცა ბურთი ნიკოლაიშვილმა იხელთა, წინამძღვრიშვილს გადაუდგო და მანაც ეს ერთგვარი ბზრიალი ზუსტი დარტყმით დაასრულა.

„მილანის“ შემადგენლობაში დაღვინებული ფეხბურთით მოთამაშე

მწვრთნელი, სოსო ბარამიძე გამოვარჩიეთ, რომელმაც მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „მასპინძლებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს, ჩვენ კი სათანადოდ ვერ ვითამაშეთ. საუკეთესო, ასეთი მარცხის შემდეგ თანამდებობაზე დამტოვონ, მაგრამ თუ დამტოვებენ, დასახულ გეგმას ვუერთგულბ — გუნდში ნიჭიერ ახალგაზრდები გვყავს და მთავარ აქცენტს სწორედ

ქობულათი 1:0 საგურაულო
ივრია 0:0 ვიზ ჯორჯია
ჩიხრა 1:0 გორდა
ლოკომოტივი 2:1 ბურია
სხინველი - ოლივი
გაბიძო
ლუკა - დინამო 2
დღეს გაიმართება
თსუ - მებაღურგი
დღეს გაიმართება

ინგლისი
მოსკოვი დინამო 1:0
11 ტური
ლუბონი 3:1 ტრანსი
გერმანია
II ბუნდესლიგა VIII ტური
ალბანია 5:1 უნტარაბონი
საფრანგეთი
II ლიგისი 1:0
ლორინი 2:0 ბაზანსონი
უგანდა
ალსვენსკა XXIV ტური
აიკ 3:0 ლანდსკრონა
პალსტადი 2:4 პალსინგორგი
გიორგორგი 0:1 პაბარგი
სუნდსკალი 1:4 იზარორდინი

ქობულათი	8	6	0	2	12:6	18
ოლივი	7	5	2	0	16:6	17
საგურაულო	8	5	2	1	11:4	17
გორდა	8	5	1	2	12:9	16
სხინველი	7	3	3	1	13:4	12
დინამო 2	7	3	2	2	13:9	11
თსუ	7	3	1	3	9:7	10
300 ჯორჯია-მსხ.	8	2	4	2	6:6	10
ჩიხრა	7	3	0	4	7:9	9
ივრია	8	2	3	3	5:11	9
აზარი	7	2	2	3	8:9	8
ბურია	8	2	2	4	6:9	8
მილანი	8	2	2	4	3:7	8
ლოკომოტივი 2	8	2	1	5	5:11	7
ლუკა	7	2	1	4	4:11	7
მებაღურგი	7	0	0	7	2:16	0

პორტუგალია
სუპერლიგა VII ტური
ალვირა 1:2 ბრაზა
ნორვეგია
ტიველიგა XXIII ტური
ლინი 5:1 ბრომსი
ჩეხეთი
პრემიერლიგა X ტური
საარტა 3:1 პლზენი
ფინეთი
ფინიშლიგა XXIV ტური
იოკარითი 0:0 ალინსი
ტურკუ 0:0 კოუვიო
ირლანდია
პრემიერლიგა XXIV ტური
ლონდონი 1:2 შაფიოკი

საპროგრამო 15 მაინორაჟი
 შპს სპორტი 11 ტურნი
 ანაკლია

306 იქნება მეზვიდე?

გორში სტამბრებს ვაშლივით აზორებენ

ვაშა ხუციშვილი გორიდან

პროგრამა 5 ოქტომბერი 16 საათი 01 სტამბრა 800 (ტელეფონი 3 500)
სიონი 0:1 ვიზ ჯორჯია

სიონი (გორი): გოლაშვილი, ზეზუაძე, გიბიძე, გილაშვილი, კოჭიაძე, კვიციანი, გომარაძე, გაბისკია (დარხანი 67), იხიანი (3 ნიშნით 75), სათადარიგო: ა. ლაბაძე, გ. შერვაშია, ფანშულიძე, დავუშვილი, მიქელაძე, **85360150**: თიანე გაბელია

ვიზ ჯორჯია (გორი): მურღანი, ზეზუაძე, ინჯიელი, კვახაძე (კოცირიძე 35), იმედაშვილი, გველეხიანი, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე (დეკანოზიძე 46), მარცვალაძე (ფიქრიშვილი 73), ვ. გომარაძე, სათადარიგო: ქურაძე, ლ. კვარაცხელია, ბერულოძე, აბაშია, **85360150**: ზურაბ ბერიძე

შაშხანი: ა. შილაძე (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედიო), ზ. ჯვარიძე (თბილისი), ა. ორდინიძე (ონი)

სფპ-ის ინსაიდერი: ნ. კაკულია, **დირექტორი**: გ. ძაბუაშვილი
 გარიბა: 3-20, უფოსური: 8-4, კარისკენ დარტყმა: 8-7, კარში დარტყმა: 8-2, თამაშგარე: 2-1

პროგრამა 5 ოქტომბერი 16 საათი 01 სტამბრა 2 500 (ტელეფონი 8 230)
დილა 1:0 პორკიდო

დილა (გორი): სოლოლაშვილი, ბაღაშვილი, საქაბურძე, ლომიძე, ლ. გომარაძე, ზ. ლაცაბიძე, გ. ჩიტაია (ოლეგიაშვილი 66), რაზმაძე, ჯობაძე (მარღვიანი 73), ბ. ჩიტაია, მოძუაშვილი (ს. კაიადარაშვილი 85), სათადარიგო: თ. ილიურიძე, ხანიშვილი, ხ. კაიადარაშვილი, მხურაშვილი, **85360150**: ზურაბ სორგუაშვილი

პორკიდო (სტურუა, ხუდაციანი): მხივლაძე, ლ. გილაძე, გ. ჩიტიანი (ლალაძე 70), წერგაძე, გამეზარაძე, მუშუყვანიანი, ახალკაცი, ბაბუნაშვილი, ზ. ქუთათელაძე, სათადარიგო: სომხიშვილი, კვარცხელია, დარსაძე, გოგოლაძე, ქარაული, **85360150**: გელა კიკაბერიძე

შაშხანი: მ. მალაღურაძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედიო), ა. მუშუყვა (თბილისი)

სფპ-ის ინსაიდერი: ა. მიღნევი, **დირექტორი**: რ. ლორთქიფანიძე
 გარიბა: 2-12, უფოსური: 3-2, კარისკენ დარტყმა: 4-2, კარში დარტყმა: 6-3, თამაშგარე: 2-2

უჩვეულო ბოლნისურათი არ არის სამი ქულა



ბორის გონჩაროვმა მირზა მერღანს ვერ ააცილა

ვაშა კვანტალიანი ბოლნისიდან

ტურის ცენტრალურ მატჩში მეოთხეადგილოსანმა „სიონმა“ ლიდერ „ვიტ ჯორჯიას“ უმასპინძლა. დამაბული, ნერვული მატჩი გამოდგა. შინაურ კედლებში ქულადაუკარგავმა მასპინძელმა სასტარტო სასტენისთანავე მოსაგებად გაიწია, თუმც საბოლოოდ ქულასდა დასჯერდა.

საშინაო მატჩში „სიონს“ „ვიტ ჯორჯიაზე“ უხერხული მეტოქე არ ჰყოლია, ვეტერინარები ხშირად თავაწეულნი დაბრუნებულან ბოლნისიდან და ტრადიცია არც ახლა დარღვეულა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ვეტერინართა თავკაცი ზურაბ ბერიძე კმაყოფილი იყო ბოლნისური ქულით, თუმც ვიტელებს სამი ქულის მოპოვებაც შეეძლოთ, რადგან შინაურ კედლებში ქომავთავან გამხნეებულ მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდეს და სტუმრებს საგოლე შანსი დამხდურზე უფრო მეტი ჰქონდათ.

ტურის პრინციპული მატჩი ბოლნისელთა კარნახით დაიწყო. ქვემოქართლელებს მე-11 წუთზე ორჯერ შეეძლოთ გატანა, ჯერ კვიციანი-რის პასისას საჯარიმოში შერბენილ გონჩაროვს აულო საგოლე დარტყმა მერღანმა, მერე კი ვადმოვარდნილ ბურთს გაბისკიამ მიუსწრო და ისევ მეკარემ იყოჩადა.

„სიონს“ გასატანი 32-ე წუთზეც ჰქონდა, როდესაც გაბისკიამ მე-

კარეს შეატოვა ისიანი, მაგრამ ბოლნისელს მეკარემ გამოუცნო ჩანაფიქრი.

ამის შემდეგ სტუმრებმა პირველად გაიწიეს მეტოქის კარისკენ, მაგრამ მარცვალაძის პასისას მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა გოცირიძემ ვერ ივარგა. აქვე ვთქვათ, მოედანზე შესვლიდან მატჩის ბოლომდე გოცირიძემ ბევრი აწვალა მასპინძლებს, თუმც ხეირი ვერ ნახა.

მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯია“ იყო მოედნის ბატონ-პატრონი, „სიონი“ ერთფეროვნად და უილაჯოდ უტყვდა, სტუმარს კი ბევრი საგოლე შანსი ჰქონდა, მაგრამ ბევრს სცოდავდნენ ვიტელები, გამორჩევით ხელსაყრელი საგოლე მომენტები გოცირიძეს ჰქონდა, თუმც სტუმართა ფორვარდმა მეტოქე მცველთა უყურადღებობით რამდენჯერმე ვერ ისარგებლა.

„სიონის“ ერთადერთი საგოლე შანსი კი 65-ე წუთზე იყო, გონჩაროვმა კოშკაძის „დალეკილი“ პასით რომ ვერ ისარგებლა და მერღანს გაარტყა ბურთი ხუთი მეტრიდან.

საფინალო სასტენის შემდეგ მასპინძელი უკმაყოფილო დარჩა, სტუმარი ქულით გახარებული, თუმც ვიტელთა თავკაცს მსაჯებისადმი საყვედური დაცდა, არაობიექტურად იმსაჯეს, უმიზეზოდ დაეკვარესო.

ჩვენი მხრივ იმას ვიტყვით, რომ „სიონი“ პირველად დაბრძობდა შინაურ სარბიელზე — „ვიტ ჯორჯია“ პირველია ამ ჩემპიონატში, ქულა რომ წაიღო ბოლნისიდან.

„დილა“ პირველ წრეში ხუთივე საშინაო მატჩი მოიგო. თუ ამას გასული მაისის ბოლოს „მილანთან“ გამარჯვებასაც მივათვლით, ზედიზედ ექვსი გორული მოგება გამოვა. სამკითხაო მხოლოდ ისლარჩება, რომელი გუნდი შეწყვეტს ქართლელთა შინაურ ტრიუმფს.

ცხრა დღეში გამართულმა სამმა ტურმა „დილასაც“ და „ტორპედოსაც“ დალა დაატყო. ამიტომაც მატჩი მთლიანობაში ისეთი გამოდგა, თვალებს რომ არ გატყენს. პირველი ტაიმი შედარებით ცოცხალი იყო, ვიდრე მეორე. საგოლე მომენტებიც საკმაოდ შეიქმნა და მოძუაშვილის გოლმა მცირე ხნით გულშემატკივარც ააფორიაქა. შესვენების შემდეგ თუკი საინტერესო და სახალისო რამე იყო, უპირველესად მასპინძელთა ცნობილი ქომავის, „ტაფას“ შემახილები. „ტაფა“ აშკარად ფორმაში გახლდათ. გრძელ, მოკლე და საშუალო სიგრძის წყველა-კრულვას კარგად იყენებდა და ნამატჩევს მეგობრებთან შეხვედრის ტაქტიკურ-სტრატეგიული მონახაზიც გააჩნია.

„დილა“ ამ თამაშისთვის გაცილებით მეტ მასურებელს ელოდა, მაგრამ წინასწარჩვენი კონცერტისთვის საშხალისმა ფეხბურთის ახალგაზრდების ნაწილი წაჰკვარა. რომელიც პარტია სტადიონთან რამდენიმე ასეულ მეტრში ტამაშანდურისთვის სცენასა და განათებას აწყობდა.

„ტორპედოს“ კახა კვეციანი და გიორგი ყიფიანი დისკვალიფიკაციის გამო აკლდნენ. სევასტი თოდუას მამა გარდაეცვალა და, ცხადია, გუნდს ვერ დაეხმარებოდა.

შესუსტებული შემადგენლობით თავ-

ვატკებულ ქუთაისელები გორში მასპინძლებს თანაბრად ეთამაშნენ, ეპიზოდებში სჯობდნენ კიდევ, მაგრამ უპირატესობა გოლად ვერ აქციეს.

ქართლელები მერამ მოძუაშვილმა დააწინაურა. საჯარიმოს წინა ხაზთან კარგი პასი მიიღო, მახვილად დაუსხლტა და მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში ზუსტად დაარტყა; აღსანიშნავია, რომ პირველი წრის პირველი გორული მატჩში („დილა“ — „ვიტ ჯორჯია“ 3:0) მასპინძელთა პირველი გოლი სწორედ მოძუაშვილმა გაიტანა და წრის დასრულებამდე მანვე ითავა.

დამხვედურთა მხრიდან ბექა ჩიტაია გამოირჩა — თანაუნდლებს დროულად ეხსენებოდა და ორი ხელსაყრელი მომენტი იმიტომ გააცუდა, რომ ბოლო დარტყმისას ვერ ჩაუქობდა.

სტუმართაგან მუშუყვიანს, ბაბუნაშვილსა და ქუთათელაძეს შეეძლოთ გატანა. ქუთათელაძემ განსაკუთრებით კარგი ეპიზოდი დალუპა. კარის წინ ეულად დარჩენი-

ლმა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი ხეირიანად ვერ დაუხვედრა.

ტაიმის მიწურულს ჯობაძემ სტურუს შორიდან დაურტყა ბურთი უკნურად გაემართა კარისკენ და მის დასაჭერად ჩამუხლულ სტურუს უეცრად თავში მოხვდა, რამაც მყურებლები მცირე ხნით გაახალისა.

შესვენების შემდეგ მოედანზე მყოფნი დაწინარდნენ და მოემუნენ. „დილა“ ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდა, „ტორპედოს“ კი გასათანაბრებლად ძალა არ ჰყოფნიდა. შორიდან ახალკაცის დარტყმულს, მუშუყვიანის შესრულებულ საჯარიმოს და გამეზარაშვილის მკარატელას სოლოლაშვილი დიდად არ შეუწუხებია. შეხვედრის ბოლოს შეცვლაზე შესულ გორელებს, მარღვიანს და კაიადარაშვილს, ასპროცენტაინი მომენტები ჰქონდათ. პირველს თავური სტურუამ სასწაულებრივ აულო, მეორემ კი ცარიელი კარის წინ ჩაქროლებულ ბურთს ფეხი ვერ დაუხვედრა.

ბრძოლა ვლადიშვილისთვის

პროგრამა 5 ოქტომბერი 16 საათი **ბათუმი 0:1 დინამო**
 ბათუმი 3 000 (ტელეფონი 5 000)

ბათუმი (ქუთაისი): ქვამბია, მხარაძე, გუშარაშვილი, დუმბაძე (მეხია თედორაძე 51), მანხავა (რომანაძე 77), ა. შერვაშია, კაკალიძე, ბეგლარ თედორაძე, გალოგრა, ქაცარავა, სირბილაძე (ბეგიაძე 75), სათადარიგო: ა. ბაღაძე, კობიძე, ცანავა, ფიცხალიაშვილი, **85360150**: ვალერიან მხარტიშვილი

დინამო (ზოიძე, კარლოსი, ნერეთელი): ნიზანიშვილი (72), შაშიაშვილი, აბისულაშვილი, გვირგვინი, გოგობერიშვილი, ბურდული, დარხაძე (კანდელია 64), ახალია, ალექსიძე (მელქაძე 70), სათადარიგო: გვარამაძე, სახვაძე, მ. ბობოხიძე, **85360150**: ივო ზუშკაი

შაშხანი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირაძე (ტულაშვილი), ა. კიკაბერიძე (ქუთაისი)

სფპ-ის ინსაიდერი: გ. ბარქაია, **დირექტორი**: გ. სორდია
 გარიბა: 15-16, უფოსური: 3-7, კარისკენ დარტყმა: 3-5, კარში დარტყმა: 4-5, თამაშგარე: 2-3

ბათუმი სპანდომ ბათუმიდან

თბილისელთა მწვერთელ ივო შუშკას გუშინ დაბადების დღე ჰქონდა და, ბუნებრივია, წინა დღეს გამარჯვებით შეგირდებმა მშუენიერი საჩუქარი მიუძღვნეს. თანაც მიჯრით ორ საგარეო მატჩში წაფორხილებს შემდეგ „დინამომ“ ულაპარაკოდ მოიგო და პირველი წრის საპირველადგილო სამი ქულა წამოიღო ზღვისპირეთიდან.

მატჩამდე ბათუმელები ხუმრობდ-

ნენ, ჩვენი ბაბუ დღეს აულებს „აბაროტს“ იმით სანტა კლაუსსო. ჩვენ ბაბუში ვინც იგულისხმება, იოლი გამოსაცნობია, სანტა კლაუსი კი „დინამოს“ პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილია, რომელმაც რაც ამ ზაფხულს ურეკი დიდი ამბით მიაწყმოაწყო, ბათუმს დამსვენებელი და აჭარის ბიუჯეტს კი ფული დააკლო. ჰოდა, „აბაროტში“ ფულის ვერა, მაგრამ სამი ქულის დატოვება იგულისხმებოდა. არ გამოვიდა.

სტუმრებს უკვე მე-3 წუთზე შეეძლოთ გატანა. ლადო ახალიას ჩაკიდებულს საჯარიმოს კიდესთან ლადო ბურდულმა დაახვედრა მოქნული ფეხი, მაგრამ ბურთი აეჭრა და მომენტუც გაფუჭდა. მერე დარასელამ ჩახხვია კუთხური, ბათუმელთა მეკარე ქვამბია თითებით წაუპოტინა ბურთს, რომელიც ხარისამ აისხლიტა. რამდენიმე წუთში კვირკველიას პასი ალექსიძემ ვერ შეირგო და მეკარის საჯარიმოდან კარს ზემოდან გადააცილა.

ალექსიძემ თავისი მაინც გაიტანა. ტანხმელმა ფორვარდმა დარასელიას წაქცევა არ აპატია მასპინძლებს და ჯარიმიდან დაბალი ტრაექტორიით შემოავლო ბურთი ბათუმელთა ცოცხალ კედელს. ქვამბიამ ოდენ თვალი გააყოლა ძელიდან ასხლებილ, მერე კი ბადეში აფართხალეულ ბურთს.

გოლის გატანა ბათუმელებსაც მართებდათ. ჯერ ვანო მხარაძემ ჩაუდრიბინვა სტუმართა მცველებს, მაგრამ ზოიძემ დაასწრო და მომენტი განმუხტა, ხოლო ბეგლარ თედორაძის შორიდან გასროლილმა „ჯვარედინმა“ შეაზანზარა ტაიმის ბოლოს მანჩავას ფუმარისებურ დარტყმას ზოიძე დაუხვდა ადგილზე.

მეორე ტაიმზე სათქმელიც არაფერია, კარლოსის გაფრთხილების და ერთორი გაფუფხურების გარდა, „დინამომ“ მასპინძლები საკუთარ ნახევარზე გამოკეტა და მათ შეტყვებს ბუნებულ-ბუნებულში იგერიებდა.

კველი უპირი გუსაფი ვოგა მართხედაც ვოგა?

მცხეთა. 5 ოქტომბერი. 16 საათი. ბრძან. 900 (ტელეფონი 3 000)
მცხეთა 3:1 კოლხეთი

10 ჩილენინაძე (6), 11 ლალანიძე (9), 2:1 ლ. ქებაძე (46) 3:1 ჩილენინაძე (90)

მცხეთა: ცინაძე, ლ. ამბიძე, ძაგნიძე, კირვალიძე, გ. ქებაძე, ლ. ქებაძე, ჩაჩუა (ჯაფარიძე 82), ავალიანი, რაქვიანიშვილი (მუშუქია 59), ლ. ჩხაიძე, ჩილენინაძე
სათადარიგო: ბელეცაძე, არეშიძე, ხიდაშელი, პარამონოვი
მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

კოლხეთი: ბათიაშვილი, შ. ლონდაძე (დ. გოდერძიშვილი 82), შალამბერიძე, დ. ნარსია, ქუტიძე, გიგინიძე (სვანიძე 46), თაყაიძე, ლალანიძე, მარგალიტაძე, გაგუა, ტყეშელაშვილი (შალანიძე 46)
სათადარიგო: ჩემია, ხურცილაძე
მწვრთნელი: გია ტყეშელაშვილი


გაზრთხილვა: ჩაჩუა (64), ჩილენინაძე (59), ჩხაიძე (83)

ბაპტიზა: შალანიძე (78), ამბიძე (78)

მსაჯე: კ. მესხი (ზუგდიდი); ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიელიძე (ორივე ქუთაისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

საშვ-ის ინსპექტორი: ა. მჭედლიშვილი; **დირექტორი:** ბ. ბურჯაღიაძე

ჯარიმა: 13-ში; **კუთხური:** 5-4; **კარისკენ დარტყმა:** 7-6; **კარში დარტყმა:** 4-4; **თამაშაგრო:** 2-1



მერამდენედ გია ტყეშელაშვილი წავაგებს, ცხადია, მსაჯებს აბრალებს

დავით თაყაიშვილი მცხეთიდან მესხს, ნუგზარ რუსიშვილს და კობა გაბრიელიძეს დაბრალეს. ფოთელთა დამრიგებელმა გია ტყეშელაშვილმა მე-7 ტურის „ლოკომოტივი“ — „კოლხეთის“ (2:0)-იც გაიხსენა და თქვა, იმ შეხვედრაში მესხმა ორივე გუნდის კარში გამოვლო.

ყველაფერში დამნაშავე შენაზარ — ფოთელებმა თითო არბიტრისკენ და მისი თანამშემწყობებისკენ გაიშვირეს. ერთი სიტყვით, „კოლხეთის“ მარცხი კოლხებმა კახა

ნილი 11-მეტრიანები დანიშნა და ასეთი არბიტრები საერთოდ რატომ მსაჯობენო. ტყეშელაშვილს თანამშემწყობ დავით მანარაძემ კი ვითარება, ნურავის ეწყინება, მაგრამ ჩვენ დღეს სუსტ გუნდთან წავაგეთ, რაც მსაჯების ბრალია, თორემ მეორე ტაიმი ჩვენი იყო.

თავისი სიტყვა ვლადიმერ გუცაევიც გვითხრა — შალამბერიძე თამაშგარეში იყო და თანამსაჯმა ეს დროულად დააფიქსირა, ხოლო ჩვენს მესამე გოლზე ვერაფერს გეტყვით, ისეთ ადგილას ვიყავი, კარგად ვერ დავინახავდი, თამაშგარე იყო თუ არაო. გუცაევიც ისიც დასძინა, არ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ ძლიერი გუნდი გვყავს, მაგრამ ყველამ ჩვენ-ჩვენ გუნდებს მივხედოთ, ყველაფერი ბოლოს გამოჩნდება, ვინ რომელ ადგილზე აღმოჩნდებაო.

— ლაშა ჩხაიძემ ჩინებული პასი გაუჭრა ჩილენინაძეს, რომელიც მცველებს დაუსხლტა და ზურაბ ბათიაშვილსაც აჯობა. „კოლხეთმა“ მყის უპასუხა — ჯერ ქუტიძეს მართებდა გატანა, მერე კი ფოთელებმა მცხეთელთა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს ჯარიმა მოინადირეს და ზველი ლალანიძემაც თავისი საქმე პირნათლად შეასრულა — 1:1.

ამის შემდეგ ორივე კართან შეიქმნა სასიფათო მომენტები, უფრო მცხეთელები ყოჩაღობდნენ და ტაიმის მიწურულს წინ გაიჭრნენ — ავალიანის გადაცემა ლაშა ქებაძემ მოხდენილად დაამუშავა, კორპუსით ჩინებულად ითამაშა და 8-9 მეტრიდან შორეულ კუთხეში გაუტანა ბათიაშვილს.

შესვენების შემდეგ „კოლხეთი“ სრულ ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლა გათანაბრების კარგი შანსი ჰქონდათ მარგალიტაძეს, გაგუას და თაყაიძეს, მაგრამ იტალი „მცხეთის“ მხარეს იყო. ვითარება დაიძაბა, ნერვების თამაშიც წავიდა და მალანა-ამბიძეც წაქინჯალებისა და ხელფეხის ქეჯის გამო გააძევეს. კონტრშეტევაზე მასპინძლებსაც



ქონი შალამბერიძის გოლი თამაშგარე შეიქმნა



„მოქილავე“ ლაშა ამბიძე კახა მესხმა წითელი ბარათით დააშოშინა

ჰქონდათ საგოლე შანსი — ჩხაიძე „კოლხეთის“ საჯარიმოში ჩიკორით დაბრუნდა, მაგრამ თანამსაჯის აღმართულ ალამს რომ გახვდა, თამაშგარე დააფიქსირა. არათვლილ გოლზეც ვთქვათ — ფოთელებმა მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდეს ბურთი, „მცხეთის“ კარის შორეულ ძელთან მას ჯონი შალამბერიძე დაუხვდა და თავით გადაგ-

ზავა კარში. მესხს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ თანამსაჯის აღმართულ ალამს რომ გახვდა, თამაშგარე დააფიქსირა. „კოლხეთი“ კვლავაც უტყვევდა, თუმცა შეხვედრის ბოლო წამებზე მუშუქიამ ჩილენინაძე გაიყვანა ბათიაშვილთან პირისპირ და 3:1 ფოთელები აღმოჩნდნენ, თამაშგარე იყო, მაგრამ...

ბოლოს იყო: კოლისია!

მწვრთნელი. 5 ოქტომბერი. 16 საათი. მწვრთნელი 2 000 (ტელეფონი 8 000)
მერცხალი 2:3 სპარტაკი

02 ბოლქვაძე (3), 14 2:1 გაბედავა (40, 68), 2:2 ტატანაშვილი (84), 2:3 თოფუა (90)

მერცხალი: გოგუა, კობახიძე, ჯაბუა (გ. ილიაშვილი 46), კვიციანი, შალაშვილი (ხიამაშვილი 60), მგებანიძე, ჩინუა, შინჭარაული (გრიგორიანი 82), მებონია, კვარაცხელია, გაბედავა
სათადარიგო: როსიძე, გ. ნიჭინაძე
მწვრთნელი: სერგო გაბედავა

სპარტაკი: მამალაძე, ნურუა, ფანია, დონდოლაძე (ტატანაშვილი 72), მიკელიძე, ი. დოლიძე (მინაშვილი 60), ბოლქვაძე, ალადაშვილი, გ. თოფუა, კვიციანი (ფირცხალავა 81), კოტრიკაძე
სათადარიგო: შერვაშიძე, ებრაელიძე, მგებანიძე
მწვრთნელი: ვახტანგ ჭიჭიანი

გაზრთხილვა: მებონია (51)

მსაჯე: გ. ასკაროლი (ქარელი); ა. აფციაური (ფუშეთი), ო. ხეცაძე, ა. კრიჭანაშვილი (ორივე თბილისი)

საშვ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; **დირექტორი:** ს. კოტრიკაძე

ჯარიმა: 7-6; **კუთხური:** 8-4; **კარისკენ დარტყმა:** 7-5; **კარში დარტყმა:** 3-6; **თამაშაგრო:** 0-2

პირველად დაძაბული და ხმაურიანი გამოდგა ჩემპიონატის მანანალათა ოზურგეთული შეხვედრა. ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან ამ მატჩის შედეგს ცხრილის სარდაფში სიტუაციის შეცვლა შეეძლო. მასპინძელთათვის თავზარდამცემი აღმოჩნდა დებიუტი. მესამე წუთზე „სპარტაკმა“ საჯარიმოს კიდესთან ჯარიმა მოინადირა. ალადაშვილის ჩაწოდებულს უმეტესად ფოროდ დატოვებული ბოლქვაძე გამოეხმაურა და ზუსტი თავურით გოგუა სახტად დატოვა. გამეზობულმა გოლმა სერგო გაბედავას სამწესო მალე გამოაფხი-

ზლა და ხუთიოდ წუთში ზედიზედ ორი ხიფათი უკვე სტუმართა კართან შეიქმნა. ჯერ ჭალაშვილის მცდელობა შეკარე-მცველებმა განმუხტეს, ხოლო გაბედავას დამატებული მამალაძემ იოლად მოიგვრია. აქედან ათიოდ წუთში გაბედავა კვლავ გასატანად შეიმართა, თუმცა ოდნავ არაზუსტად დაარტყა. თბილისელთა პასუხმა არ დააყოვნა და კვიციანიშვილის კარგი გადაცემით ბოლქვაძემ შეუტია. დარტყმამ მასაც არაზუსტი გამოუვიდა.

ოზურგეთელთაგან გაბედავა გამოირჩეოდა. ლაღომ ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხა — ჭინჭარაულის პასით „სპარტაკის“ უხეირო დაცვა იოლად გაარღვია და საგოლედაც დაჰკრა. შესვენებამდე ბევრი არ რჩებოდა, მაგრამ სტუმარ-მასპინძელმა სახიფათო ჩხველვა მაინც მოასწრო. ჯერ სტუმრებმა სცადეს გატანა, მერე კი ორჯერ ოზურგეთელებმა.

მეორე ტაიმი გურულების აქტიურობით დაიწყო, მაგრამ რამდენიმე მოახერხეს აქ კი იმავე გაბედავამ შეგვასხენა თავი, ჭალაშვილის ეფექტური პასით დონდოლაძე გაა-

ბითურა, მეკარეც მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. ვასილ ჭიჭიანიშვილმა ორი ფეხბურთელი გამოცვალა და ამან შედეგი სულ მალე გამოიღო.

84-ე წუთზე „მერცხალის“ საჯარიმოში დიდი ხალხმრავლობა იყო. ახალშესულმა ტატანაშვილმა როგორღაც მოახერხა და მცველთა გარემოცვაში კარში დაარტყა. კარის ხაზზე თუ მის შიგნით ოზურგეთელებმა შეძლეს ბურთის უკუგდება და დაიწყო მაგრამ, რა დაიწყო. თანამსაჯმა აუცილებლად გოლი და ცენტრისკენ დაიძრა. ასკაროლიმ მას რატომღაც ყურადღება არ მიაქცია და ამ შეგვიანებით ვითარება დაძაბა. მერე კი, მსაჯმა შენიშნა თუ არა თანამსაჯის ფესტი, გოლი ჩათვალა, მაგრამ ხომ წარმოგედგენიათ, რა რეაქცია მოჰყვებოდა ამას ოზურგეთელთა მხრიდან. ფეხბურთელთა ნაწილი გვერდით მსაჯს მიეჭრა, ნაწილი — მთავარს გავეშებული ქომაგობა კი დამცავ ღობეს მიაწყდა. კიდევ კარგი, პოლიციელებმა იყრიანდეს, თორემ ვინ იცის, რა მოხდებოდა. ჩაწყნარებული თამაში ორიოდ წუთში კვლავ აირია. ამჯერად პე-

ნალტს ითხოვდნენ მასპინძლები, თუმცა ასკაროლიმ ზედ საჯარიმოს ხაზთან ჯარიმას დააჯერა ისინი. ისეც გაწვევა-გამოწვევა, ისეც ჩოჩილი და თამაშის დაძაბულობამაც პიკს მიაღწია.

ბოლო წუთზე კოტრიკაძემ ჩინებული გადაცემით თოღუა მეკარეს შეატოვა და შეტევაში გართული მეტოქე სპარტაკელმა გოლით დასაჯა.

მატჩის დასრულებისთანავე მაყურებლებმა მსაჯისკენ გაიწიეს. სფფის ინსპექტორმა ოთარ გუნთაძემ მოახერხა მათი სამშვიდობოს გაყვანა, ხოლო ხალხის დაშოშინება პოლიციამ მალე მოახერხა.

დინამო	11	7	2	2	26:5	23
დილა	11	7	1	3	16:8	22
ვიტ ჯორჯია	11	6	4	1	17:5	22
სიონი	11	5	5	1	12:6	20
მცხეთა	11	5	1	5	14:20	16
ლოკომოტივი	10	4	3	3	13:11	15
ტორპედო	11	4	2	5	9:10	14
თბილისი	10	3	2	5	11:14	11
კოლხეთი	11	3	2	6	9:14	11
გათუში	11	3	1	7	8:14	10
სპარტაკი	11	2	3	6	7:23	9
მერცხალი	11	2	2	7	11:23	8

არხერი, თუმცა სამი მუჯირი აღის, მუჯირი ჩაღის

მეორე მუჯირი უკვე გამოდის რამდენიმე ისეთი მოვლენა ჩაყლაპა, რაც ქართველებისთვის აქამდე „უცხო“ იყო. მაგალითები ვნებავთ? იმეხეთ: პირველად მოხდა, რომ „ურალსნი“ გადასვლის შემდეგ ელისტელემა ვალერი აბრამიძის გარეშე ითამაშეს. მოედანზე მხოლოდ ერთი ქართველი, ვასილ გიგიაძე იყო და ისიც საკმაოდ აქტიურობდა. პრემიერლიგაში დასარჩენად მებრძოლმა ყალმუხებმა „როსტოვს“ 3:1 სძლიეს და კვლავაც იმედით ელიან მომდევნო ტურებს. გიგიაძემ ერთხელ როსტოველთა კარის ძელიც შეაზანზარა. მისი გარჯა კი რუსმა ურნალისტებმა 6,5 ქულით შეაფასეს.

სეზონის პირველი მარცხი იწვნია მამია ვიქიას „ამიკამ“, თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩვენებური პირველად გამოჩნდა ძირითად შემადგენლობაში. წინა ტურში პირველი საამსეზონო გოლის გამტანმა ვიქიამ სრულად კი ითამაშა, მაგრამ „ლეგია“ მაინც შეძლო „ამიკას“ დამარცხება. ვრონკელთა სამწუხაროდ ვარსაველებმა ორივე გადამწყვეტი გოლი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გაიტანეს. მარცხის მიუხედავად, „ამიკა“ მაინც ლიდერია პოლინეთში.

უკრაინაში დებიუტი ჰქონდა გრიგოლ ჭანტურას. „ტაურა“ ჭანტურა-იონანაძის ქართული წყვილით დაუხვდა „ბორისფენს“, მაგრამ ხეირი მაინც ვერ ნახა. სიმფეროპოლელნი 1:2 დამარცხდნენ და მე-15 ადგილამდე დაეშინენ.

უკრაინამ კიდევ ერთი ქართული დებიუტი იხილა. ზაპოროჟიელი ირაკლი მოდებაძე პირველად გამოჩნდა „მეტალურგის“ შემადგენლობაში. ტრავმამოშუშებული ჩვენებური 62-ე წუთზე შევიდა მოედანზე, მაგრამ, სამწუხაროდ, 14 წუთში ისევ მძიმედ დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

ლატვიაში დაბრუნებულმა ზურაბ მენთემაშვილმა კი პირველი გოლი გაიტანა. „სკონტო“ 7:2 მოუგო თანაქალაქელ „რიგას“. „მასპინძლებს“

საქმე სწორედ „მენთემაშ“ მოუმთავრა. მეორე ჩვენებური ლევან კორდალიძე კი მწვერთვულმა 58-ე წუთზე შეცვალა.

ალბათ საინტერესოა, დანარჩენ ჩვენებურთა გარჯაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა:

ქართველ ლეგიონერთაგან ყველაზე მეტად გოგა გახოკიძე გამოირჩა. მისმა „ტვენტემ“ სტუმრად 5:3 დაამარცხა „ვიტეისი“. გახოკიძეს გოლი არ გაუტანია, მაგრამ სამი საგოლე პასი მიითვალა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელობასაც ვერავინ შეეცვლა.

გერმანულ ბუნდესლიგაში ორივე „ქართულმა“ გუნდმა მოიგო. ლევან კობიაშვილის „შალკემ“ სტუმრად „ჰანოვერი“ იმსხვერპლა, იაშვილ-ცხიტიშვილის „ფრაიბურგმა“ კი მიუნხენელი ლომები გაისტუმრა დამწუხრებული.

შოტლანდიური „ოლდ ფირმის“ ბედი ზურაბ ხიზანიშვილის ავტოგოლმა გადაწყვიტა. „სელტიკმა“ მოსისხლე „რეინჯერსი“ მისსავე მოედანზე დაამარცხა და სატურნირო ცხრილშიც უკან მოიტოვა. გიორგი ნემსაძის „დანდიმ“ კი დასანანი ქულები დაკარგა. „დანდი“ 2:0-ს უგებდა „პართისს“, თუმცა მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს.

დავით მუჯირის „შტურმი“ ბოლო ადგილი დატოვა. გრაცლებმა 3:0 დაჩაგრეს „კერტენი“ და საამსეზონო სარეკორდო მეშვიდე ადგილს უწიეს. მუჯირი სათადარიგო იყო.

ამ დროს კი მეორე მუჯირის, ამირანის „მარეკი“ ეშვება თავდაღმა. „მარეკს“ ამჯერად ვარნის „სპარტაკმა“ გააწნა სილა და ღუნბიცილები მე-13 ადგილზე დატოვა.

კვიპროსზე გიორგი ქორიძეს „გაასენდა“ გოლების გატანა. ორტურიანი „სიმშრალის“ შემდეგ ქორიძემ „აპოლონს“ გაუტანა, მაგრამ მისი გუნდი მაინც დამარცხდა. კიდევ ერთი ჩვენებური დავით პეტრიანშვილი 90 წუთი იბრძოდა გიორგის მხარდამხარ.

კახა შალვაშვილი



ზურაბ ხიზანიშვილიმ საკუთარ კარში ჩაჭრილ ბურთს თვალითა გააყოლა

სახელი გვარი	გუნდი	სად მეტოქე	წილი	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A							
კახა კალაძე	მილანი	ს ინტერი 3:1	0	ტრავმირებულია	0	0	2
გერმანია. ბუნდესლიგა							
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ ჰანოვერი 2:1	90		8	0	10
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ მიუნხენი 1:0	80	გააფრთხილეს, შეცვალეს	8	1	7
ლევან ცხიტიშვილი	ფრაიბურგი	შ მიუნხენი 1:0	90	გააფრთხილეს	8	1	7
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა							
ხვიჩა შუბითიძე	აუე	ს ალენი 0:1	90	გააფრთხილეს	8	3	16
შოტლანდია. პრემიერლიგა							
შოთა არველაძე	რეინჯერსი	შ სელტიკი 0:1	90		6	6	2
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	შ სელტიკი 0:1	90	გააფრთხილეს	8	0	2
გიორგი ნემსაძე	დანდი	ს პართისი 2:2	90		8	0	5
კოლანდია. პირველი დივიზიონი							
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს ვიტესი 5:3	90	3 საგოლე პასი	7	0	10
ავსტრია. მაქსუპუნდესლიგა							
დავით მუჯირი	შტურმი	ს კერტენი 3:0	0	სათადარიგო	7	0	7
რუსეთი. პრემიერლიგა							
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს ტორპედო 0:1	0	სათადარიგო	11	1	3
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	ს ტორპედო 0:1	90		10	6	3
დავით ჩალაძე	როზინი	ს სპარტაკ-ალანია 0:1	45	შეცვალეს	18	3	5
ლევან სილაგაძე	როზინი	ს სპარტაკ-ალანია 0:1	0	ტრავმირებულია	10	0	5
ვალერი აბრამიძე	ურალანი	შ როსტოვი 3:1	0	განაცხადში არ იყო	4	0	14
ვასილ გიგიაძე	ურალანი	შ როსტოვი 3:1	90		12	2	14
ანზორ კალაძე	ურალანი	შ როსტოვი 3:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	14
გიორგი ლომია	სპარტაკი	ს კრილია 2:0	0	სათადარიგო	0	0	10
ალექსანდრე რეხვიაშვილი	სპარტაკი	ს კრილია 2:0	0	სათადარიგო	21	1	15
დავით ნაკანი	ტ. მეტალურგი	შ როსტოვი 1:0	0	ტრავმირებულია	0	0	9
	ტორპედო	შ ლოკომოტივი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	9
კოლონეთი. პირველი დივიზიონი							
მამია ვიქია	ამიკა	ს ლეგია 1:3	90		8	1	1
უკრაინა. უმაღლესი დივიზიონი							
გოჩა ჯაპარაული	მ. დონეცი	შ ზირკა 1:0	90		11	1	3
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცი	შ ზირკა 1:0	90		10	7	3
ზურაბ იონანაძე	ტაურია	შ ბორისფენი 1:2	90		10	2	15
შოთა ჩომახიძე	ტაურია	შ ბორისფენი 1:2	0	ტრავმირებულია	0	0	15
გრიგოლ ჭანტურია	ტაურია	შ ბორისფენი 1:2	90		1	0	15
ლევან მიქაძე	კრივბასი	ს არსენალი 0:2	90		10	0	12
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	ს ვოლინი 0:1	14	შეცვალაზე ითამაშა, შეცვალეს	1	0	10
შალვა აფხაზაე	არსენალი	შ კრივბასი 2:0	88	შეცვალეს	10	3	7
გელა შეყილაძე	არსენალი	შ კრივბასი 2:0	90		7	0	7
გიორგი ციმაკურიძე	შხატარი	ს დინამო 1:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
უნგრეთი. ბორსლი დივიზიონი							
კახა ჩხეტიანი	პეჩი	შ დიორი 1:0	0		4	0	4
ბულგარეთი. უმაღლესი დივიზიონი							
ამირან მუჯირი	მარეკი	შ სპარტაკი 1:2	90		7	2	13
ავთანდილ გვიანიძე	ბოტევი	ს მაკედონსკა 3:4	0		4	0	14
თურქეთი. პირველი დივიზიონი							
გივი დიდავა	ქოჯაელი	შ ადანა 1:1	0		1	0	0
ზინეთი. ვეიკაუსლიგა							
გიორგი ნიკურაძე	კტპ	ს ინტერი 1:2	0	სათადარიგო	0	0	13
ლატვია. უმაღლესი დივიზიონი							
ლევან კორდალიძე	სკონტო	ს რიგა 7:2	58	შეცვალეს	16	5	1
ზურაბ მენთემაშვილი	სკონტო	ს რიგა 7:2	90	1 გოლი	6	1	1
თამაზ პერტია	არმა	ს დინაბურგი 2:2	90		20	2	8
არმან ველაძე	არმა	ს დინაბურგი 2:2	0		3	0	8
კვიპროსი. პირველი დივიზიონი							
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	შ დიგენისი 2:3	90		5	2	4
ლევან მალრაძე	აელ	ს აპოლონი 1:3	82	შეცვალეს	5	1	7
ლევან ქეცბაძე	პარალიმნი	ს ეთნიკოსი 2:0	0	ტრავმირებულია	4	5	6
გიორგი ქორიძე	ევტაპასი	ს აპოლონი 1:3	90	1 გოლი	5	5	9
დავით პეტრიანშვილი	ევტაპასი	ს აპოლონი 1:3	90		4	1	9
ყაზახეთი. სუპერლიგა							
კახა გოგოლაძე	ბატისი	ს კაისარი 1:0	18	შეცვალაზე ითამაშა	19	1	16
სანდრო ბურნაძე	ფეტისუ	შ ატირალუ 2:0	90		8	1	4
დავით ჯანაშია	ფეტისუ	ს ფეტისუ 0:2	26	შეცვალაზე ითამაშა	6	2	7
ლევან ბაველიძე	ფეტისუ	ს ფეტისუ 0:2	90		8	1	7
გელა ქორიძე	ესილი	ს შხატორი 0:0	0	დისკვალიფიცირებულია	6	0	17
დავით ჩოხელი	ესილი	ს შხატორი 0:0	90		7	0	17

შენიშვნა: შ – შინ, ს – სტუმრად, თ – თამაში, გ – გოლი, ა – გუნდის ადგილი ლიგაში



გოგა გახოკიძემ არნემელები მიაწვრდინა

ეს იყო უბრალოდ კანო



ლივერპული — არსენალი. მაიკლ ოუენი ისე დაეცა, შესაძლოა, ინგლისის ნაერტსაც დააყლდეს

REUTERS

REUTERS

ინგლისი
პრემიერლიგა. 17-ე ტურში
ლივერპული 1:2 არსენალი
 1:0 კიუელი (14), 1:1 შიიბია (35კ.), 1:2 პირესი (68)
ლივერპული: დუდეკო, ფინანი, ბიშპა-ნი, შიიბია, რიისე, დიუფი, ჯერარდი, დიაო (უელში 83), კიუელი, ოუენი (შე-სკი 72), შმიცერი (ლე ტალევი 42)
მწვრთნელი: ფერარ ულიე
არსენალი: ლემანი, ლორენი, კ. ტუ-რე, ს. კემპბელი, ეშლი კოული, პა-რლოუ, ედუ, ფილბერტო სილვა, ანრი, ალიადირი (ვილტორდი 73)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ბიშპანი, კოული, პა-რლოუ, უელში
მსაჯი: ბარბერი
 44 374 მაყურებელი

მანჩესტერ იუნ. 3:0 პირმინგემი
 1:0 ვან ნისტელროი (36პ), 2:0 სქოუ-ლზი (57), 3:0 გიგზი (82)
მანჩესტერ იუნ.: პოვარდი, გ. ნევი-ლი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, კ. ფორჩუნი, ფლემინგი, ფ. ნევილი (პათი 71), როი კინი (ფორლანი 66), გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგუსონი
პირმინგემი: მაიკ ტეილორი, დ. ჯო-ნსონი, აპსონი, კანინგემი, კლემპი, დ. დანი, ა. სისე, კლემენსი (ტებილი 79), ლაზარიდისი (მენტი 35), დი-უგარი (კარტერი 66), ფორსელი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: სისე
გამყვანი: ტეილორი (34)
მსაჯი: დინი
 67 633 მაყურებელი

მიდლსბრო 1:2 ჩალსი
 0:1 გუდონსენი (17), 1:1 ნემეტი (46), 1:2 კრესპო (88)
მიდლსბრო: შვარცერი, მილსი, რი-გოტი, კედრო, კუპერი, მენდიტა, გრინინგი, დორიგა (ფრინიო პაუ-ლისტა 89), ბოატენგი, კრისტო (მ. რიკუტსი 82), ნემეტი (დოუნინგი 87)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ჩალსი: კუდიინი, გ. ჯონსონი, ტე-რი, პათი, ბრიჯი, გრონკიერი (ჯ. კოული 79), ლამპარდი, მაკელუზა დაფი, პანელბანი (კრესპო 46), გუ-დონსენი (მუტუ 79)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: კრისტო, პანელბანი, პათი
მსაჯი: პალსი
 29 170 მაყურებელი

ასტონ ვილა 1:1 ბოლტონი
 0:1 ნოლანი (46), 1:1 ანგელი (58)
ასტონ ვილა: სორენსენი (პოსტმა 46), დილანი, მელბერტი, ალფაი, ჯ. სამუ-ელი, პენდრი, გ. მაკკანი, ბერი, უიტინ-გეი (ოლბოკი 56), ვასელი, ანგელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ბოლტონი: იასკელაინენი, ნკოტი, ჩა-რლტონი, ტომე, რ. გარდნერი, ნო-ლანი (ფარდელი 80), კამპო, ფრან-დსენი, ოკოჩა, კ. დევისი, იანაკოპუ-ლოსი (ლიტლი 90)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: პენდრი, ტომე, ოკო-ჩა, ფრანდსენი, კამპო, გარდნერი
მსაჯი: სტილინი
 30 229 მაყურებელი

ნიუკასლი 1:0 საუთჰემპტონი
 1:0 შირერი (44)
ნიუკასლი: გიფნი, ა. ბიუზი, ობრაიენი, ბრემბლი, ბერნარი, დაიერი, ჯენსი, სიდი, ბოიერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი (პრატონი 81), მ. სვენსონი, ლუნდეკვაი, პიგინ-ბოთეი, ფ. ფერნანდესი (ორმეროდი 81), ტელფერი, მარსდენი, ნ. მაკკანი (ა. სვენსონი 20), ფილიპი, ბიტი
მწვრთნელი: გორდონ სტრანანი

საუთჰემპტონი 1:0 ნიუკასლი
 1:0 ნიუკასლი (44)
საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი (პრატონი 81), მ. სვენსონი, ლუნდეკვაი, პიგინ-ბოთეი, ფ. ფერნანდესი (ორმეროდი 81), ტელფერი, მარსდენი, ნ. მაკკანი (ა. სვენსონი 20), ფილიპი, ბიტი
მწვრთნელი: გორდონ სტრანანი

გაფრთხილება: ობრაიენი, ბოიერი, ბრემბლი, მ. სვენსონი, ა. სვენსონი
მსაჯი: დოუდი
 52 127 მაყურებელი

ლიდსი 2:1 ბლექბერნი
 1:0, 2:0 ჯონსონი (11, 27), 2:1 ბაჯო (86)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ზ. კამარა, მატეო, ოლემპე, მენანტი (სა-კო 87), ჯ. მორისი, ბეტი, ს. ჯონ-სონი, ვიდეკა (ბრიჯისი 67), ა. სმიტი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ბლექბერნი: ფრიდელი, ენტონი, ნ. იო-პანსონი, მარტინ ტეილორი, გრემკო, დ. ტომპსონი, ფლიტკროფტი (მ. ფერ-გუსონი 46), თუგი (გრამი 76), რიდი (დ. ბაჯო 65), ენდი კოული, იორკი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ჯონსონი, მატეო, რო-ბინსონი, გრემკო
მსაჯი: რენი
 35 039 მაყურებელი

ტოტენჰემი 3:0 ევერტონი
 1:0 კანო (43), 2:0 პოიეტი (46), 3:0 კი-ნი (49)
ტოტენჰემი: კელერი, კარი, ტარიკო (დალმა 72), ე. გარდნერი, რიჩარდსი, ანდერტონი, პოიეტი, კონსეკი, გ. რიკუტსი, კანო (პოსტიგა 77), რობი კინი
მწვრთნელი: დევიდ პლიტი

ვესტბრომი 2:0 ბრისტოლი
 1:0 ვილი (33), იობო, ანსორთი, უოტსონი, გრავესენი, კარსლი, მაკ-ფადენი (რუნი 55), რაიინსკი (კილ-ბენი 55), დ. ფერგუსონი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: გარდნერი, კონსეკი, პაიბერტი, რუნი
მსაჯი: გალაპერი
 36 137 მაყურებელი

პორტსმუთი 1:2 ჩარლტონი
 1:0 შერინგემი (34), 1:1 ფორჩუნი (77), 1:2 ბარტლემი (90)
პორტსმუთი: პისლოპი, შემელი, დე-ზუვი, სტეფანოვიჩი, ფიკოვიჩი, სტოუნი, ფიე, სმერტინი (შერუდი 26), ბერგერი (მეთიუ ტეილორი 85), შერინგემი, აიგბენი (რობერტსი 76)
მწვრთნელი: პარი რედნაბი
ჩარლტონი: კელი, კ. პაუელი, ფიში (ჯ. ფორჩუნი 64), პერი, იანგი, გ. სტი-უარტი, პარკერი, პოლანდი, კ. იენე-ნი (დი კანიო 64), ბარტლემი, ლისბი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: დე-ზუვი, შერინგე-მი, შერუდი, პერი, ბარტლემი
მსაჯი: პოლი
 20 106 მაყურებელი

ფულჰამი 2:0 ლესტერი
 1:0, 2:0 ბოა მორტი (36, 73)



ტოტენჰემი — ევერტონი. უენი რუნიმ ბეგერი იყვინა და ცოტა თამაში

ფულჰამი: ვან დერ სარი, ლიკოკი (ჯე-ტუ 81), ნათი, გომა, ბონისელი, ბოა მორტი, ბემბრიჯი, კლარკი, ინამო-ტო (ლეგინსკი 64), მალბრანგი, საპ-ა (პეილსი 84)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ლესტერი: ოუქერი, ფ. სინკლერი, ტა-გარტი, პაუი (დიკოვი 61), როჯერსი, იმბი, იზტი, ნალისი (ლ. ფერდინან-დი 61), შიმეკა, მ. ბენტი (გილესპი 77), სკოუკროფტი
მწვრთნელი: მიკი ადამსი
გაფრთხილება: ნათი, გომა, იმბი
მსაჯი: ფოი
 14 562 მაყურებელი

ვულვზი 1:0 მანჩესტერ სიტი
 1:0 კამერონი (76)
ვულვზი: ოუქსი, ირვინი, ბატლერი, კრადოკი, ნილორი, კა-მერონი, რაფ, იმბი, ა. კამარა (კარ-ლული 78), ნ. ბლექი, კ. მილერი (ნიუტონი 89)
მწვრთნელი: დევიდ ჯონსი
მანჩესტერ სიტი: სიმენი, ფიხაი, სო-მელი, დისტინი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, ბოსველტი, კ. რეინა, სი-ბიერსკი (ტ. სინკლერი 63), ანელკა (ფაულერი 79), ვანოპე
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: მილერი, რაფ, იმბი, დი-სტინი, სინკლერი
მსაჯი: უინტერი
 29 386 მაყურებელი

სტრიკის სამივე მეთაურმა მოიგო, აქედან ორმა სტუმრად აქე-დან ერთმა ლივერპულში, სადაც აგებდა და ჯერ ელუს ილბალა გო-ლით გაათანაბრა, რაც სემი შიიბი-ას ავტოგოლად ჩაიწერა ოქმში, მე-რე კი რობერ პირესის ბრწყინვა-ლე დარტყმით დაწინაურდა. ამ გოლს არსენ ვენგერმა მხატვრუ-ლად უწოდა: „ეს იყო უბრალოდ... პირესი“.

„არსენალმა“ თავისთვის ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოიგო, „ლი-ვერპულმა“ კი თავისთვის უაღრუ-სად მნიშვნელოვანი თამაში წააგო. სრულიად ინგლისის კი სამწუხა-

როდ და საეებლად ის გაუხდა, რომ ამ თამაშის შემდეგ 18 წუთით აღარ ექნებოდა „ლივერპულს“ დარტყმული ბურთის ჩაჭრისას ცუ-დად დაეცა მიკლ ოუენი და ახლა სანახევრო შანსი დაჩვენა, რომ ამ შაბათს სტამბოლში თამაშის თურქთა ნაკრების წინააღმდეგ. მა-რცხის მიუხედავად, ფერარ ული-ეს თავი ყოჩაღად ეჭირა და მის დათხოვნაზე „ენფილდის“ შტაბი არაფერს ამბობს. „მეთოფეთა“ კა-რში ერთადერთი გოლის გამატანმა პარი კიუელმა კი ულიე როგორც პრემიერლიგის ყველაზე კარგი მწ-ვრთნელი და საუცხოო ადამიანი, ისე დაახასიათა.

ეს კი ასეა, მაგრამ „ლივერპუ-ლი“ უკვე ცხრა ქულით ჩამორჩე-ბა ცხრილის ლიდერ „არსენალს“. შუა კვირაში სირცხვილნაჭამმა „ჩელსის“ მაინც გამოვლიჯა გამა-რჯევა „ბოროს“, „მანჩესტერმა“ კი შინ კომფორტულად მოუგო ნა-მდვილად კარგ გუნდს, „ბირმინგემ სიტის“, რომელსაც მეკარე მარკ ტეილორი ბოლო იმედის ჯარიმი-სთვის გაუშევეს, ხოლო რუუდ ვან ნისტელროიმ ზედიზედ მეორე პე-ნალტი შეაგდო ზედიზედ სამი ვე-რგატანილის შემდეგ. ბერმინგემე-ლთა პირველი მარცხი სეზონში მა-ინც მოსალოდნელი ჩანდა.

მთელი კვირის განმავლობაში ცე-ცხლი ეკიდა ორ მენეჯერს: სერ ბობი რობსონსა და პიტერ რიდს. ჭორად დადიოდა, რომ ამ კვირაში მოუგებლობით ტანჯული სერ ბო-ბი ორჯერ ელაპარაკა „ნიუკასლის“ თავმჯდომარეს, მისტერ შეფერდს. ზოგნი ამბობდნენ, იმ გაუპატურე-ბის გაუხმაურებელ საქმეში მავანი ჯორდიც გარეულიაო, ზოგნი კი მო-ხუცს გადადგომა უნდაო, თუმცა მო-ხუცმა სახალხოდ თქვა, ის კაცი არა ვარ, რომ გარბის ხოლმეო. შა-ბათ საღამოს თითქოს გარბოდა ტა-ნჯული „ლიდისის“ მენეჯერი პიტერ რიდიც, კვირა საღამოს კვლამა თი-თქოს უარი თქვა მის გაშვებაზე, მანამდე კი თითქოს მენეჯერს გუ-ლშემატკევერები და ფეხბურთელები იცავდნენ, აქციონერთა საბჭო კი მის წასვლას ითხოვდა.

ადენი თითქოს ძახილში უქმე-ბზე ორივეს გაუძაროდა. ჯორდემ წამოქარულ „საუთჰემპტონს“ კიდევ ერთი სილა გააწენს, აღან შირერმა ერთი ცუცურმა მოახერხა ეს შირას 250-ე სალიგო გოლი გამოდგა, ხო-ლო ჯონსონის დუბლმა ლიდსელებს „ბლუქბერნი“ აძლევინა.

№	სულ				შინ				სტუმრად					
	თ	მ	ფ	წ	თ	მ	ფ	წ	თ	მ	ფ	წ		
1 არსენალი	8	6	2	0	16:6	10	20	4	3	1	0	8:4	4	10
2 მანჩესტერი	8	6	1	1	16:3	13	19	4	3	1	0	8:0	8	10
3 ჩალსი	7	6	1	0	18:7	11	19	4	3	1	0	9:5	4	10
4 ვულვზი	7	4	2	1	15:9	6	14	3	2	1	0	7:4	3	7
5 პირმინგემი	7	4	2	1	8:5	3	14	3	2	1	0	5:2	3	7
6 სიტი	8	3	3	2	14:9	5	12	4	1	2	1	6:4	2	5
7 საუთჰემპტონი	8	3	3	2	8:5	3	12	4	2	1	1	3:1	2	7
8 ლივერპული	8	3	2	3	12:9	3	11	4	1	1	2	4:5	-1	4
9 ჩარლტონი	8	3	2	3	12:12	0	11	4	1	1	2	5:9	-4	4
10 პორტსმუთი	8	2	3	3	10:9	1	9	4	2	0	2	8:5	3	6
11 ბლექბერნი	8	2	2	4	15:16	-1	8	4	1	0	3	8:9	-1	3
12 ვესტბრომი	8	2	2	4	12:14	-2	8	4	2	1	1	9:6	3	7
13 ასტონ ვილა	8	2	2	4	8:12	-4	8	4	2	2	0	6:3	3	8
14 ტოტენჰემი	8	2	2	4	8:12	-4	8	4	2	0	2	6:7	-1	6
15 ნიუკასლი	8	1	5	2	6:12	-6	8	4	1	3	0	5:3	-2	6
16 ლიდსი	8	2	2	4	8:17	-9	8	4	1	2	1	4:5	-1	5
17 მიდლსბრო	8	2	1	5	7:14	-7	7	4	1	0	3	4:9	-5	3
18 ვულვზი	7	1	3	3	8:10	-2	6	4	1	1	2	2:3	-1	4
19 ლესტერი	8	1	2	5	10:15	-5	5	4	1	2	1	7:6	1	5
20 ვულვზი	8	1	2	5	3:18	-15	5	4	1	1	2	1:9	-8	4


პრემიერლიგაში

ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.)	8
ოუენი (ლივერპული)	7
ანელკა (მანჩესტერ სიტი)	6
ბიტი (საუთჰემპტონი)	6
ანრი (არსენალი)	6
შირერი (ნიუკასლი)	6
შერინგემი (პორტსმუთი)	6

17 ტურში

18 ოქტომბერი	
არსენალი — ჩალსი	1:1
პირმინგემი — ასტონ ვილა	1:1
ვულვზი — ჩარლტონი	1:1
ვესტბრომი — საუთჰემპტონი	1:1
ფულვზი — ვულვზი	1:1
ლიდსი — მანჩესტერი	1:1
ლესტერი — ტოტენჰემი	1:1
სიტი — პორტსმუთი	1:1
მიდლსბრო — ნიუკასლი	1:1
პორტსმუთი — ლივერპული	1:1

თქვენ უცდით, კლოს!



ფრედერიკ კანო

ვეერტონელთა შორის კი გამოირჩა ყრმა უეინ რუნი, რომელიც სასტარტოში არ იყო და ამიტომ ცოტა თამაშა, თუმცა იმდენი კი მოახერხა, რომ მსაჯს აუხიბდა, ველარაფრით დაწინაურდა და ყვითელი ბარათიც მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ შემდეგ თამაშს ავტომატურად გამოტოვებს. აბა, მოვთვალეთ და ყრმა ვეინის ამ სეზონში უკვე მეხუთედ მიუღია ყვითელი, რაც მისი გუნდების სიმტკიცეზე არ მეტყველებს. სტამბოლის თამაშისთვის ნაკრების მთავარ იმედად დასახულ რუნის, რომელმაც საშინაო მატჩში შავი დღე აყარა თურქებს, ახლა გვირავიანი მელა-ალიფური მოხვდა მსაჯთან კამათის გამო.

„ვეერტონის“ მწვრთნელმა დევის მოიესმა კი თქვა: „უეინმა უკვე მოიბოდიშა, სამწუხაროდ, ეს არ იყო მისი საუკეთესო დღე.“

მაშ, რაღა ეთქვა საბრალო „პორტსმუთს“, რომელიც ტედი შერი-ნგემის საუცხოო თავურით ლამის მთელ თამაშს უგებდა „ჩარლტონს“ და სხვა თუ არაფერი, ქულა მაინც ეკუთვნოდა, პაოლო დი კანის მოუღელელობისა და ნატიფი პასების წყალობით კი სულაც წააგო. „პირველი ტაიმი საზიზღარი გვექონდა. ჩემს ხელში გუნდს ასე ცუდად არასოდეს უთამაშია“ — აღიარა ჩარლტონელთა თავკაცმა ალან კერბიშლიმ.

პრემიერლიგის ყველაზე ახალგაზრდა მენეჯერი, კრის კოულმენი კი თან ხარობს და თანაც გაკვირვებულია იმით, რომ „ფულემმა“ მაღლა მიცოცავს. მორიგი თამაში და ლუის ბოა მორტეს მორიგი გოლები, „ფულემმა“ კი ხელფასის კომპენსაცია უნდა გადაუხადოს ყოფილ მენეჯერს, ჟან ტიგანას.

და ერთი საბრალო გოლით იმარჯვა „ვეულვერპემპტონმა“, რომელმაც დაამარცხა „მანჩესტერ სიტი“, რომელსაც მეორე კვირაა გოლი ვერ გაუტანია. რაღაცით ფეხდალუქულმა პაულო სესარ ვანროპემ ისევე, როგორც წინა შაბათს, ახლაც მხოლოდ ძელი მოსინჯა.

თქვენ საბრალო ეძახეთ და ეს გოლი კოლინ კამერონმა რომ შეაგლო თავით, ვულვერპემპტონელ ხეტიალთა ისტორიის წიგნებში ჩაიწერება, ამ გოლით წომ გუნდმა პირველად თავის ისტორიაში პრემიერლიგის თამაში მოიგო.

ირაკლი გამყარელიძე
ლონდონიდან

პირველი დივიზიონი

ბარნლი 3:1 უოლსოლი
1:0 ფიხი (4), 1:1 მერსონი (24), 2:1, 3:1 ფიხი (82, 87)
ძრეუ 0:1 უოტფორდი
0:1 ვებერი (61)
პრისტალ პალასი 2:1 პარდიფი
1:0 რუტლეჯი (45), 2:0 შიპერლი (47), 2:1 კაენაფი (60)
დირბი ქაუნთი 0:1 ვესტ ჰემი
0:1 პათისონი (90)
ჰილინგბერი 0:2 ვესტ ბრომვიჩი
0:1 დობი (26), 0:2 კლემენტი (29)
იფსვიჩი 2:1 რუტარკი
1:0 კუნაგო (53), 1:1 ბატლერი (59), 2:1 კუნაგო (70)
მილუოლი 2:1 დოვერსი
1:0 აიფილი (63), 1:1 სტონტონი (72), 2:1 პარისი (85)
პრისტონი 1:0 უიგანა
1:0 ფულერი (29)
რეინჯერსი 2:2 ბრემფორდი
1:0 სიდუელი (5), 1:1 ევანსი (44), 1:2 გრეი (55), 2:2 პოუზი (78)
შაფილდ იუნ. 0:1 სანდერლანდი
0:1 კაილი (68)
სტოკი 2:1 ნოტინგემი
1:0 ტომასი (6), 2:0 ასაბა (31), 2:1 უილიამსი (90)
უიგანა 1:1 ნორვიჩი
1:0 ლიდელი (25), 2:0 რობერტსი (63)

ვესტ ბრომვიჩი	11	8	1	2	19:10	25
შეფილდი	11	7	2	2	20:11	23
ვესტ ჰემი	11	7	2	2	14:6	23
სანდერლენდი	11	7	1	3	18:10	22
უიგანი	11	6	4	1	15:7	22
ნორვიჩი	11	6	3	2	17:12	21
მილუოლი	12	5	4	3	17:14	19
ბარნლი	12	5	2	5	19:19	17
ნოტინგემი	11	5	1	5	17:14	16
პრესტონი	11	5	1	5	15:13	16
კარლიფი	11	4	3	4	20:14	15
რედინგი	11	4	3	4	16:13	15
სტოკი	12	4	3	5	15:16	15
იფსვიჩი	11	4	2	5	16:17	14
კრ. პალასი	11	4	2	5	15:17	14
ქრისტი	11	4	1	6	9:15	13
ჰილინგბერი	12	3	4	5	12:20	13
ქოვენთრი	10	3	3	4	15:16	12
უოლსოლი	11	3	3	5	13:14	12
დერბი	11	3	3	5	11:17	12
ბრედფორდი	11	3	2	6	11:11	11
როტერჰემი	11	2	3	6	7:19	9
უოტფორდი	10	2	2	6	10:14	8
უიგანა	11	1	1	9	13:27	4

მეორე დივიზიონი

80-12 ტური: ბარნლი — რაშფორდი 2:0; ბორნმუთი — პარტლუი 2:2; ბრენტფორდი — შეფილდ უენსდი 0:3; ბრაიტონი — ბლეკბერნი 3:0; ბრისტოლი — სუინდონი 2:1; გრისმბი — ქუინზ პარკი 0:1; ნოტი — კოლჩესტერი 3:0; პიტერბრო — ოლდემი 2:2; სტოკპორტი — ჩესტერფილდი 0:0; რეჟსემი — პორტ ველი 2:1; უიკომბი — პლიმუთი 0:0. ლუტონი — ტრანმერი ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდი)

მესამე დივიზიონი

